

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION

ვ. კახიძის №15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 295 23 53; ფაქსი: (995 32) 292 32 11
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 295 23 53; Fax: (995 32) 292 32 11
E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge



№ გ-04/121-16

11.03. 2016 წ.

საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს
საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა (საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე)

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის თანახმად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს რომელი სტრუქტურული ერთეულია პასუხისმგებელი კოორდინაცია გაუწიოს ან/და უშუალოდ წარმართოს სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტების (ე. წ. პოლიტიკის დოკუმენტების) და საკანონმდებლო ინიციატივების მომზადების პროცესს. ასეთი სტრუქტურული ერთეულების არსებობის შემთხვევაში, რამდენი ადამიანია დასაქმებული და რა ოდენობის საბიუჯეტო ხარჯია გათვალისწინებული მათი ამ საქმიანობის განსახორციელებლად;
2. პირველ პუნქტში აღნიშნული ერთეულის არსებობისას, ითვალისწინებს თუ არა საშტატო ნუსხა ისეთი ფუნქციის მატარებელი საშტატო ერთეულის არსებობას, რომელიც სტრატეგიულ დოკუმენტებზე და საკანონმდებლო ინიციატივებზე მუშაობის პროცესში პასუხისმგებელია საზოგადოებასთან საჯარო კონსულტაციების ჩატარებაზე, რა ოდენობის საბიუჯეტო სახსრებია გათვალისწინებული ამ საშტატო ერთეულის საქმიანობის დასაფინანსებლად;
3. ჩატარებულია თუ არა აღნიშნულ საჯარო მოხელეთათვის ტრენინგები სტრატეგიული დოკუმენტებისა და საკანონმდებლო პროცესის წარმოების საკითხებთან დაკავშირებით;
4. მე-3 პუნქტში მითითებულ დატრენინგებულ მოხელეებს შორის, რამდენმა გაიარა ტრენინგი სტრატეგიული დოკუმენტებისა და საკანონმდებლო პროცესის წარმოების პროცესში საჯარო კონსულტაციების წარმოების საკითხებთან დაკავშირებით;
5. მე-3 და მე-4 პუნქტებში მითითებული ტრენინგების ჩატარების შემთხვევაში, რომელი ორგანიზაციის მიერ იყო აღნიშნული ტრენინგები ორგანიზებული და რა წყაროდან დაფინანსდა (ტრენინგები სახელმწიფო საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე ჩატარდა თუ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარებით და რა ოდენობის ფინანსური რესურსით დაფინანსდა თითოეული მათგანი).

გთხოვთ, ზემოაღნიშნული ინფორმაცია მოგვაწოდოთ პუნქტობრივად, ცალ-ცალკე, 2013, 2014 და 2015 წლების მონაცემების მიხედვით.

პატივისცემით,

თამარ გვარამაძე

აღმასრულებელი დირექტორი